

ანა თედიაშვილი

FH JOANNEUM, University of Applied Sciences, Austria

კავკასიის ბიზნესის სკოლა

„ჩემი ისტორია იწყება ავსტრიის ულამაზეს ქალაქში, რომელმაც შესაძლებლობა მომცა, შემეეცნა ჩემი ცხოვრების ახალი სტილი - განსხვავებული, აქტიური, სიახლეებით სავსე და რაც მთავარია, ორიენტირებული ევროპული გამოცდილებისა და განათლების მიღებაზე.“

უნივერსიტეტში სწავლისას აღმოვაჩინე ბევრი სიახლე, განსაკუთრებით მომეწონა მოდულური სისტემით სწავლება, რამაც შესაძლებლობა მომცა, დრო სწორად გამენაწილებინა და არა მხოლოდ ავსტრია, არამედ ევროპის სხვა ქვეყნებშიც განსხვავებული კუთხით დამენახა, მემოგზაურა ბევრი და მეგრძნო თავი იმ დიდი ჯგუფის ნაწილად, რასაც ევროპული ოჯახი ჰქვია. პროგრამამ მომცა საშუალება გამეზიარებინა სხვა ადამიანების კულტურა და ამავედროულად გამეცნო ჩემი ქვეყანა სხვებისთვის.

თავდაჯერებულობა და მიზნისკენ სწრაფვა არის ის, რაც შემძინა ამ გამოცდილებამ. დავრწმუნდი, რომ შეუზღუდავია შესაძლებლობები, როცა გაქვს ხედვა და გინდა მიიღო შენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი, დამოუკიდებლად ცხოვრების გამოცდილება.

მადლობა კავკასიის უნივერსიტეტსა და ერაზმუსის პროგრამას ამ შესაძლებლობისთვის.

და ბოლოს, Auf Wiedersehen!”